პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის ---------იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

2. **წყალტუბოს** მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, **არქიტექტურისა** და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IVკვარტალში **გაწეული** მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ.ბერაძე

შეთანხმებულია რ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482202083**
თარიღი: **20/01/2022**
პინი: **0108**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის № 158 განკარგულების შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშს 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 7 ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური და რეგიონული განვითარების ფონდების, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, ადგილობრივი და სამოქალაქო ბიუჯეტების, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების ღონისძიებებში, შესაბამისი საპროექტო წინადადებებისა და პროგრამების შემუშავებაში.

მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სიძნელეებისა, შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლების, დადგენილ ვადებში პროექტების მიღება-ჩაბარებების და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების შეფასების კუთხით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, ისევე როგორც წინა წლებში, ასევე 2021 წელს ყველაზე მოწინავე პოზიციებზე იყო იმერეთის რეგიონში, რაც სამსახურის თითოეული თანამშრომლის მიერ მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შედეგადაა მიღწეული.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის № 2685 განკარგულებებით 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში **რგფ-ის მიერ დასაფინანსებელი 22 პროექტის** (მთლიანი ღირებულების ფარგლებში საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე) ასანაზღაურებელი თანხების მოცულობა - 6245615 ლარით იყო განსაზღვრული, რომელიც მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის № 2732 განკარგულებით დაკორექტირდა - გაიზარდა 593783 ლარით და საბოლოოდ განისაზღვრა- 6839398 ლარით, საიდანაც რგფ-ის წილმა -6477707 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის 5% წილმა -361691 ლარი შეადგინა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი პროექტები მაღალხარისხოვნად და მითითებულ ვადებში იქნა დასრულებული. შესრულებული სამუშაოების მიღება- ჩაბარება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მუშა-ჯგუფის მიერ მიერ ხდებოდა კომისიურად, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით.

2021 წელს რგფ-ის მიერ დაფინანსებული 22 პროექტიდან გასული წლის მე-3 და მე - 4 ვარტლებში დასრულდა 15 მსხვილი ინფრასტუქტურული პროექტი შემდეგ მისამართებზე:

1) სოფ. გეგუთში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 639894 ლარი;
2) სოფ. ბანოჯაში 26-ე ქუჩის და სოფ. ხომულში სახერხის უბანში და წმინდა გიორგის ტაძართან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით- 226043 ლარი;
3) სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის და სოფ გვიშტიბში 35- ე ქუჩის , ასევე ბეკნარას უბნის გაგრძელებაზე გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 573520 ლარი;
4) სოფ. ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკოლასთან მისასვლელი გზის 2022რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-134827 ლარი;
5) სოფ. წყალტუბოში მე -2 უბნის და სოფ. ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით--475480 ლარი;
6) სოფ. ქვილიშორში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-167322 ლარი;
7) სოფ. მუხიანში ბერძენიძეების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-189963 ლარი;
8) სოფ. წყალტუბოში მაჭარაშვილების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-96123 ლარი;
9) სოფ. მუხიანში, სულაკაძეების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-285673 ლარი;
10) სოფ. გეგუთში გიგიაძეების და მაჩალაძეების უბნებში გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-114478 ლარი;
11) სოფ. ფარცხანაყანავში 29- ე ქუჩის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-353028 ლარი;
12) ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძის ქ. №10, დედაენის ქ. № 9 და ბესიკის ქ.№1 ბინებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით- 78117 ლარი;
13) ქ. წყალტუბოში გოგებეშვილის ქ. №2 და №2ა ბინებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-99512 ლარი;
14) სოფ. ქვიტირში მე 17 ქუჩის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 60145 ლარი;
15) სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 675000 ლარი;

მაღალმთიანი სოფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში 439227 ლარით დაფინანსდა სოფ. ლეხინდრისთავში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში (მესამე და მეოთხე კვარტალში) დასრულდა 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმაში და 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის პროგრამულ მუხლებში ასახული ინფრასტრუქტურული სამუშაოები შემდეგ მისამართებზე:

1) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები, სახელმეკრულებო ღირებულებით 49000 ლარი;
2) ქ. წყალტუბოში სამაკაშვილის ქუჩის მე-2 ჩიხში და აკ. შანიძის ქუჩის №4 ბინის მიმდებარედ, აგრეთვე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ღირებულებით 237748 ლარი;
3) ქ. წყალტუბოში თბილისის, გორგასლის, ყაზბეგის, ჭონქაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო და გამსახურდიას ქ სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 273984 ლარი;
4) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ყუმისთავში, ცხუნკურში და ზედა ხომულში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულ- 187740 ლარი;
5) ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული საპირფარეშოების რეაბილიტაციისთვის შესყიდული იქნა მასალები,ღირებულ-2000 ლარი;
6) ქ. წყალტუბოში ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებისა და მაყურებელთა სკამების მოწყობის (ღირებულებით-304578 ლ) და სტადიონის შემოღობვის სამუშაოები (ღირებულებით 41000 ლარი).
7) ქ. წყალტუბოში ქუთაისის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულ-124401 ლარი;
8) სოფელ წყალტუბოში მე-8 ქუჩაზე კედლის მოწყობისა და გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, აგრეთვე სოფელ წყალტუბოში იმერეთის ქუჩის გაგრძელებაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 124676 ლარი;
9) სოფელ საყულიაში (სვანების დასახლება) მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 95000 ლარი;
10) ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 73999 ლარი;

11) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში (ჯანელიძეების უბანი), სოფელ საყულიაში (ორი შიდა საუბნო გზა), ასევე ქალაქ წყალტუბოში შარტავას და ყაზბეგის ქუჩებზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოებისა და კოსტავას ქუჩაზე №4 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ კედლის მოწყობის სამუშაოები ,ღირებულებით -108500 ლარი;

12) სოფელ ქვიტირში მე-5 ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-128897 ლარი;

13) სოფელ მუხიანში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 22323 ლარი;

14) სოფელ ქვედა ქვილიშორში წყალგაყვანილობის სისტემის, ავზის და გადამჭაჩი ტუბების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით -39200 ლარი;

15) სოფელ ტყაჩირში სასაფლაოს ღობის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით -19381 ლარი;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში (ქაჭარის უბანი) და სოფელ საყულიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები,ღირებულებით-126996 ლარი;

16) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში საყულიასა და ტყაჩირში გარე განათების ქსელის მოწყობა, ღირებულებით -22993 ლარი;

17) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები, ღირებულებით- 48960 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები და საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2021 2022 წლების დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგ მისამართებზე :

ქ. წყალტუბოში გოგებაშვილის ქ.№ 2. ბ სახლის მიმდებარედ, ასევე სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის (ღირებულებით 249000 ლარი) სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და 2022 წლის 1 კვარტალში დასრულდება სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის (ღირებულებით 1096193 ლ), სოფ. მაღლაკში მე-8, მე-9, ქუჩებზე გზების ბეტონით საფარით რეაბილიტაციის (ღირებულებით 477493 ლარი), სოფლების ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის, ასევე სოფ. ჩუნეშში ტაძართან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის (ღირებულებით 549000 ლ), სოფლებში საყულიასა და ტყაჩირში გარე განათების ქსელის მოწყობის (ღირებულებით 22993 ლ) და სოფ. ფარცხანაყანევში ამაღლების უბანში № 60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2021 წელს მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებით განსახორციელებელი სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო -330000 ლარი, 70 ათასი ლარით მეტი ვიდრე 2020 წელს. სულ შეკეთებული იქნა 13 საცხოვრებელი სახლის სადარბაზო / სახურავი, აქედან 7 საცხოვრებელი სახლის შეკეთებითი სამუშაოები საანგარიშო პერიოდში დასრულდა, მათ შორის: ქ. წყალტუბოში, ბარათაშვილის ქუჩა N14-ში, ბესიკის ქ. № 5-ში, ტაბიძის ქ . №19-ში, დედაენის ქ. №13-ში, რუსთაველის ქ. 1 ჩიხი №1 საცხოვრებელი კორპუსების სახურავები. 2021 წლის ბოლოს დაიწყო და 2022 წლის იანვარში დასრულდა ჭავჭავაძის ქ. № 8 საცხოვრებელი კორპუსების სახურავის შეკეთებითი სამუშაოები. გათვალისწინებულია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები საცხოვრებელი კორპუსების

რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და შემდგომ წლებში ამ მიმართებით სამუშაოებისათვის თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გაზრდილი ოდენობით იქნება გამოყოფილი.

სულ საანგარიშო პერიოდში დასრულდა ადგილობრივი ბიუჯეტითან დაფინანსებული სხვადასხვა მიმართულების 36 ინფრასტრუქტურული პროექტი 52 მისამართზე.

სამოქალაქო ბიუჯეტით დასაფინანსებელი **პროექტების** ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო ინიციატივის გათვალისწინებით შეძენილი იქნა 141 ცალი ხის ძელ სკამი (წარწერით ,,წყალტუბო", ღირებულებით 74730 ლარი) და მცირე ზომის სანაგვე კონტეინერები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს მ/ წელს 5 ახალი სკვერი შეემატა, რეკერაციული სივრცეების და მულტიფუნქციური სკვერების მოწყობა 2022 წლიდან კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება. ქალაქში დაგეგმილია ახალი საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერებისა და საფეხმავლო ბილიკების,. საბავშვო გასართობი კუთხეების მოწყობა, მარადმწვანე ხე- მცენარეების დარგვა. არაერთი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაა დაგეგმილი ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების თვალსაზრისით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ტურისტულ ინფრასტრუქტურას და მიმზიდველს გახდის მას უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებისათვის.

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის № 185 დადგენილებით დამტკიცდა ,,**განახლებული რეგიონების " ოთხწლიანი სახელმწიფო პროგრამა.** ამ პროგრამის ფარგლებში გასულ წელს **მუნიციპალური განვითარების** ფონდმა დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო და გზის გასწვრივ ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები, რის შემდეგაც კიდევ უფრო გალამაზდება აღნიშნული ქუჩა. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი- სენაკი- ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 216 (ნახშირღელეს საავტომობილო კვანძი) ქუთაისი -სამტრედიის საავტომობილო გზის ქვიტირი - ფარცხანაყანევის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელმაც კიდევ უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახადა მგზავრობა აღნიშნულ გზაზე ადგილობრივი მცხოვრებლების და ჩამოსული ტურისტებისათვის.

დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მ/ წლის სექტემბერში წყალტუბოში მცხოვრებ 420 ოჯახს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები გადაეცა თამარ მეფის ქუჩაზე ახლადაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში, რომლებიც მთლიანად ცენტრალური

ბიუჯეტიდან დაფინანსდა. კორპუსები ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტომ ააშენა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 704000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 42 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. სამუშაოები, რომლებიც მოსახლეობის აქტიური ჩართულებით იქნა შერჩეული საანგარიშო პერიოდში დასრულდა. ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებისათვის შეძენილი იქნა - სამშენებლო და დამხმარე მასალები, შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციოდ - მზა ბეტონი, მოეწყო სასმელი წყლის ქსელები და გარე განათებები, სანიაღვრე არხები, შეკეთდა სპორტული და სააქტო დარბაზები.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლებში გამოყოფილი დაფინანსებით (75000 ლარი) საანგაროშო პერიოდში სოფ. გვიშტიბის, სოფ. უკანეთის, ქ. წყალტუბოს №1, №2 და №3 საჯარო სკოლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შეუფერხებლად ხორციელდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიასა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისსად კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში - 2021 წლის 4 ოქტომბრიდან- 31 დეკემბრის ჩათვლით ჯამურად -113548 ლარი აუნაზღაურდა.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი. გამოიყო 1525527 ლარი. მ/წლის დეკემბერში დაიწყო ქ. წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით სოფ. გვიშტიბში, თამარ მეფის ქუჩაზე შპს ,, ჰერბიასათან" მისასვლელი გზის ა/ ბეტონით რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის საპროექტო ღირებულება - 1410160 ლარია, სამუშაოები მ/წლის მარტში დასრულდება. ამავე პროგრამით რეგიონში ვიზიტორთა მოზიდვის მიზნით მოწესრიგდება ქ. წყალტუბოში ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურა და მოეწყობა სანიტარული კვანძები. პროექტის ღირებულება 115367 ლარია.

სამსახურის მიერ საანგარიში პერიოდში დამუშავდა საპროექტო წინადადებები და შედგენილი იქნა 2022 წელს რგფ-ის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, რომლებიც შესაბამისი განხილვისა და მოწონებისათვის გაიგზავნა საკრებულოში. საკრებულოს მიერ მათი მოწონების შესახებ შესაბამისი განკარგულების მიღებისთანავე რგფ-ის მიერ დასაფინანსებელი პროექტები განიხილა სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ. პირველ ეტაპზე

პრიორიტეტულად შეირჩა 8 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის № 75 განკარგულებით გამოყოფილია 4112687 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე გაცემული იქნა 20 სამშენებლო ნებართვა, ექსპლოატაციაშია მიღებული 7 ობიექტი, გაიცა გაერთიანდა 1 ნიების 49 ნაკვეთი.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული 456 განცხადება იქნა შესწავლილი. განცხადებების 50 %- მეტი დადებითად გადაწყდა. დასმული საკითხების ნაწილი ასახულია 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმაში. განცხადებების 25 % კონტროლზეა აყვანილი და ეტაპობრივად შესრულდება შესაძლებლობის ფარგლებში, 15 % ვერ განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის პროგრამულ მუხლებში თანხების არ არსებობის გამო. მოქალაქეთა ყველა განცხადებაზე განხილვის ვადების დაცვით გაცემულია არგუმენტირებული პასუხები.

სამსახურის უფროსი : მ. ჩხეიძე

ადრესატი:

რევაზი დიდავა
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49220212**
თარიღი: **21/01/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ რევაზ დიდავას

ბატონო რევაზ,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს-„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ,“ კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის **მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

2. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IVკვარტალში გაწეული** მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2022 წლის 27 იანვრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

რევაზ დიდავა

კომისიის თავმჯდომარე